



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
გამგეობა



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 2593
27/04/2017

2593-09-2-201704271647



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მიერ მომზადებული განმარტებითი ბარათი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცვლილებასთან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.

გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

ზაზა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო
და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 14

N 467
27/04/2017

467-09-3-201704271538



ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს
ქალბატონ მაგული კუნჭულიას
საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური
შესყიდვების სამსახურის

განმარტებითი ბარათი

ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის და ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა გაიზარდოს ბიუჯეტი შემოსავალი 59500 ლარით, მათ შორის არასასოფლო სამეურნეო მიწის გაყიდვის ხარჯზე 33880 ლარით და შენობა ნაგებობის გაყიდვის ხარჯზე 25620 ლარით, აღნიშნულის შემოსავლის ხარჯზე დაფინანსდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მინი სტადიონის სარემონტო სამუშაოები 55000 ლარი, ჯურყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარის კალაპოტის ღორღით და შლამით ამოწმენდითი სამუშაოებზე 4500 ლარი.

მიზანშეწონილია ბიუჯეტში ცვლილების შესატანად დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია

სამსახურის უფროსი

საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო
და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 14

N 177
27/04/2017

177-07-2-201704271821



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის და ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა გაიზარდოს ბიუჯეტი შემოსავალი 59500 ლარით, მათ შორის არასასოფლო სამეურნეო მიწის გაყიდვის ხარჯზე 33880 ლარით და შენობა ნაგებობის გაყიდვის ხარჯზე 25620 ლარით, აღნიშნულის შემოსავლის ხარჯზე დაფინანსდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მინი სტადიონის სარემონტო სამუშაოები 55000 ლარი, ჯურყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარის კალაპოტის ღორღით და შლამით ამოწმენდითი სამუშაოებზე 4500 ლარი.

მიზანშეწონილია ბიუჯეტში ცვლილების შესატანად დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია

სამსახურის უფროსი

საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2017 წლის აპრილი

ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების
შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

გიორგი ხელაძე

ცნობა

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების
შესახებ**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2017 წლის --- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2017 წლის აპრილი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლი პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ბალანსი 1-ლი მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება მე-2 მუხლის თანახმად.

გ) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახადები მე-4 მუხლის თანახმად;

ე) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

ვ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

ზ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

თ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

ი) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

კ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი მე-10 მუხლის თანახმად;

ლ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მე-11 მუხლის თანახმად;

მ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა მე-12 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები მე-13 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები მე-14 მუხლის თანახმად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

გიორგი ხელაძე